№ 43. თებერვალი 28, შაბათი 1887 თებერვალი 28, შაბათი № 43

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.

ტფილისი, 27 თებერვალი

გერმანიის აწინდელი ყოფა და ქცევა ყველას აოცებს. დიდი და პატარა იმას შესცქერის და ჰკითხულობს, ესე რა გასჭირებია, რომ ჯარების მომატების სურვილი დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევსო. იქ პაპს მივარდა და შემწეობას შეევედრაო, პაპს, რომელსაც თვითონ თ. ბისმარკი ერთ დროს ისე აურ-ზაურად მოეკიდა და მის სამღვდელოებას გერმანიაში ხელ-ფეხი შეუხუთა, იეზუიტებიც კი გამოდევნა გერმანიის სამზღვრებიდამ და ამით მეტად აწყინა და გაარისხა პაპი. ეხლა ხანს როცა იტალიაში სამინისტრო დეპრეტისისა და რობილანისა დაეთხოვა სამსახურსა, თ-მა ბისმარკმა მთელი თავისი ოსტატობა და სახელი მოიხმარა, რომ ისევ დეპრეტისისა და რობილანის სამინისტრო შემდგარიყო და არა კაიროლისა ან კრისპისა; ვსთქვათ, რომ დეპრეტისი და რობილანი დიდი მომხრეა გერმანიისა და ავსტრიისა, მაგრამ რად უჭირს გერმანიას ამათი მომხრეობა? ვინ ემუქრება? ვისი და რის შიში აქვს? აქედ იხედებით, იქიდ იხედებით და რაკი, ჰხედავთ რომ განსაცდელი გერმანიისათვის მოსალოდნელი არსაიდამ არ არის, ჰკვირობთ საიდამ რა ლანდი უჩნდება გერმანიას, რომ ყველგან ჰფაცურობს და ყველაფერში მშველელს ეძიებს? არჩევანების გათავებაც კი აღარ მოიცადა თ-მა ბისმარკმა და ახლად ამორჩეული რეიხსტაგი მოიწვია. რასა სჩქარობს? რა ისეთი დიდი საგანი მისდის და ეცლება ხელიდამ, რომ ხანსაც აღარ აყოვნებს, თითქო რაისამე შიშისაგან ელდა-ცემულიაო და სცდილობსო, რომ შიშს რაც შეიძლება ადრე და მალე წინ უსწროსო?

მითამ საფრანგეთის თავ დასხმა აფიქრებს თ. ბისმარკსა? არა გვგონია, იმიტომ-რომ საფრანგეთსა, თუმცა ევროპაში დღეს ერთი ძლიერი თანა-მგრძნობელი ჰყავს, მაგრამ პირდაპირი მომხრეობა კი ჯერ არსად უჩანს. უმომხრეოდ საფრანგეთი არას გზით გერმანიას ომს ვერ გაუბედავს. მაშასადამე, სხვა რა ტკივილი აქვს გერმანიასა?

გერმანიას იგი ტკივილი აქვს, რომ ორსავ მხრით დასავლეთით და აღმოსავლეთით მეზობლები მეტის-მეტად გაუძლიერდნენ და გაუღონიერდნენ. თუმცა არც ერთისაგან თავ-დასხმას გერმანია არ მოელოდინება და ჯერ ხანად არც საფიქრებელია, მაგრამ თ. ბისმარკი მეტად აშკარად ჰხედავს, რომ დღეს რუსეთი ცალის მხრით და საფრანგეთი მეორის მხრით იმოდენად გაძლიერდნენ, რომ ამოდენის ღვაწლით, სისხლით და ხარჯით გერმანიის მიერ მოპოებული პირველობა ევროპაში ლამის ხელიდამ გამოეცალოს; ლამის გეგემონია ევროპაში ჩამოერთოს გერმანიასა. ეგ პირველობა, უპირატესობა გერმანიისა ევროპაში თ. ბისმარკის კარგა ხნის ღვაწლია. მთელი მისი სახელი, მისი დიდკაცობა, მისი აზრუ გენიოსობისა ამ მისგან შექმნილს გერმანიის უპირატესობაშია და აი დღეს თ. ბისმარკი ჰგრძნობს, რომ ამის ნაღვაწს ძლიერნი მოცილენი გამოუჩნდნენ ევროპაში და ლამის იმოდენის სხვერპლით აშენებული დიდება გერმანიისა და ამ დიდებით მოპოებული სახელი თვითონ იმპერატორის ვილჰელმისა და თ. ბისმარკისა ფუჭად წახდეს და დადნეს შარშანდელის თოვლივითა. აი საგანი, რომელიც გერმანიის ტკივილს შეადგენს დღესა და რომლის დასაცველადაც დღეს თ. ბისმარკი და მასთან მთელი გერმანიაც იღვწის და მეცადინეობს დღე-და-ღამ საოცარის გამაღლებითა და სისწრაფითა. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ თ. ბისმარკი არა ღონის-ძიებას არა ჰთაკილობს, ყოველს გვარს ხერხსა და ოსტატობას ხელსა ჰკიდებს, რომ დიდმა ღვაწლმა ამაოდ არ ჩაუაროს არც იმპერატორს ვილჰელმს, არც თითონ ბისმარკს, არც გერმანიის ერსა და გერმანიას გვლავაც იგივ უპირატესობა შეარჩინოს.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის მაზრაში, საგურამოს სამამასახლისოში, ერთს პატარა სოფელში რაღაც ავად-მყოფობა გაჩენილა. ამ უცნაურს სენს 13 კაცი კიდეც უმსხვერპლია, სამი ვაჟ-კაცი და ათი ყმაწვილი.

⁂ ტფილისში ამ ბოლოს დროს პური თითქმის სრულიად არ შემოდის და ამიტომ პურმა ფასი ძალიან მოიმატა მაგალითად, ამ დღეებში მეორე ხარისხის ფქვილი, რომლიდამ წითელი პური ცხვება, ფუთი ექვს აბაზად ფასობდა, პირველ ხარისხის ფქვილის ფასი კი შვიდ აბაზამდინაც ადიოდა. ეს კიდევ არაფერი, ჩვენ ნამდვილად გვიამბეს, რომ ამ დღეებში პურის მეიდანზე გასასყიდი პური, ფქვილად თუ ხორბლად, სრულიად არ იშოვებოდაო, ასე რომ ხალხი იძულებული იყო ქალაქის გამგეობის და პოლიციის მოხელეთათვის მიემართნა და ეს ამბავი შეეჩივლაო. ამათაც ალაფების დუქნები გასინჯეს. მაგრამ ალაფებსაც სრულიად არ აღმოაჩნდათ პური.

ნუ თუ მართლა მთელ ქალაქში პური გაწყდა და გასასყიდადაც აღარ იშოვება? მართლა ამის მიზეზი ის არის, როგორც ზოგნი ფიქრობენ, რომ ცუდის დარების გამო სოფლებიდამ პური აღარ მოაქვთო, თუ ისა, როგორც პურის ვაჭრები და ალაფები ყველას არწმუნებენ, რომ პური სულ სამზღვარ-გარედ გაიტანესო? იქნება, არც ერთი იყოს და არც მეორე და აქ ჩვენის პურის დიდრონ ვაჭრების ოინი იყოს? ამათგან ეს ადვილი მოსალოდნელია. ხშირად ყოფილა ასე წინადაც. დაინახავდნენ თუ არა ესენი, რომ პურმა ცოტა შეითამაშა ფასშიო, მაშინვე მიჰმალავდნენ, შეინახავდნენ პურს მაგრა ჩაკეტილს სარდაფებში, აცა დიდი სიძვირე ჩამოვარდება და მაშინ ერთიორად გავასაღებთო.

ეხლავე უნდა მიექცეს ამ საქმეს ყურადღება.

⁂ დღეს რუსეთის და სამზღვარგარეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში.

⁂ მუშაობა წყლის-გამოყვანის საქმის გამო არა სცხრება. წყლის გამოსაყვან მილების დასაწყობად მიწასა სთხრიან გოლოვინის პროსპექტზე, „საპერნის ქუჩის“ ახლო-მახლო ქუჩებში; ავლაბრამდინაც მისულან, მაგრამ მეტეხის აღმართს ცოტა შეუფერხებია საქმე, რადგან კლდის გაჭრა ძალიან უჭირებთ თურმე მუშაობასა.

⁂ რადგან წელს დიდი ზამთარი იყო და ყველგან დიდი თოვლი მოვიდა, ამიტომ შიში აქვთ, რომ მზე პირს მოიბრუნებს თუ არა და თბილი დღეები დადგება, თოვლი ერთბაშად დადნება და დიდი წყლები მოვარდებაო. ამის გამო დღესვე თადარიგს შესდგომიან და, როგორც გავიგეთ, ბრძანება არის თურმე გაცემული, თვალ-ყური ეჭიროთ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, რომ დიდწყლობას რაიმე უბედურება არ მოჰყვესო.

⁂ ოზურგეთიდგან გვწერენ: ამ დღეებში აქ ერთმა აქაურმა „ფერშალმა“ ი. მ—ძემ აფთიაქი გაალო. ეს ძრიელ სასიამოვნო ამბავია ჩვენს ქალაქში, ხალხს ცოტა არ იყოს შეღავათი მიეცემა. აქამდინ მხოლოდ ერთად-ერთი აფთიაქი იყო მთელს ქალაქში და ხალხი მეტად ემდუროდა ამ აფთიაქსაო.

⁂ ვლადიკავკაზიდამ გვწერენ: ყველიერში სოფ. ყადგარონში ქალის მოტაცებაზედ მოხდა ერთი კაცის მკვლელობა. აი როგორ იყო საქმე: ყადგარონშივე მცხოვრებელმა ოსმა მოსტაცა თავის მეზობელს და. ქალის ძმა მოტაცების დროს შინ არ იყო. როდესაც შინ მოვიდა და გაიგო თავის დის ამბავი, მიჰვარდა თავის დედასა და ცოლს და დაუწყო ცემა: „თქვენ უნდა დაგხოცოთ, თქვენი საქმე რომ არა ყოფილიყო, ჩემს დას ვერ მოიტაცებდნენო“. შეშინებული დედა და ცოლი დაიმალნენ, ეგები დამშვიდდეს და თავი დაგვანებოსო. გაჯავრებულმა კაცმა რომ ვეღარაფერი ქნა, მიჰყო ხელი და, რაც რამ ავეჯი გააჩნდათ შინ, სულ დალეწა. ხმაურობაზედ გამოვიდა მეზობელი და უთხრა: კაცო, რა გემართება, რადა ჰხოცავ დედას და ცოლსა, ან რად ახრებ

ფელეტონი

უცხოთა შორის

მშვენიერი ალაგი.—არაფერი წელიწადი დაუდგა წელს ამ ალაგს.—სიცილი ტირილად გადაიქცა.—საშინელი უბედურება.—სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს.—პასტერი განსაცდელში.—შეშინებული მღვდელი.—ახლად ჯვარ-დაწერილის ქალის ნუგეში.—„მონაკოს გმირი.“—ყორანი იმ ადგილს დასტრიალებს, სადაც უბედურება ეგულება.—უბედურება ხშირად ჭკუას ასწავლის კაცსა.—გამბედავი ინჟინერი.—ესეც ახალი ამბავი.—ნუ თუ შესაძლოა?

სამხრეთ საფრანგეთში, ხმელთაშუა ზღვის პირას დგას ერთი ქალაქი, რომელსაც ნიცას უწოდებენ სახელად. მშვენიერი სანახავია როგორც ეს ქალაქი, ისე მთელი ზღვის-პირი და აქ მდებიარე ალაგები! საუცხოვო საცხოვრებელი ადგილია! მუდმივ მოწმენდილი, ლაჟვარდი ცა, თბილი, ჯანის მარგებელი ჰაერი, ლიმონისა და აპელსინის ჰალები ქალაქის გარშემო, ლურჯი, კამკამი ზღვა,—რით არ არის საგანგებოდ ნახატი სურათი! სად-ღა იპოვნი ამაზედ უკეთესს, ყოვლის სიკეთით შემკობილ საცხოვრებელს ადგილს? დიახაც, არსად! და აი ოღონდ ჯიბე მოგდევდეს, წადი აქ, თავი მიეც განცხრომილს ცხოვრებას და იმხიარულე სულო და გულო! ამიტომაც შეძლებული ხალხი ათასობით ეტანება ამ ზღვის-პირას და ზამთარს აქ ატარებს. მეტადრე დიდ-ძალი ხალხი მოდის იმ ქვეყნებიდგან, სადაც ბუნება დაღვრემილია და ზამთარი ძალიან ცივი, სუსხიანი.

წელსაც ასე იყო. დიდ-ძალ ხალხს მოეყარა თავი ნიცაში და ახლო-მახლო ზღვის-პირის ქალაქებში. მაგრამ წელს ამ მხარესაც ვერაფერი წელიწადი დაუდგა. მგონი, დღეს არა ერთი და ორი აქ მოსული თავსა და ბედს იწყევლის და იძახის: ნეტავი ფეხი მომტეხოდა და აქ კი არ წამოვსულიყავიო. დიდი უბედურება, ნამდვილი ღვთის რისხვა ეწია წელს ამ ქვეყანას.

⁂

თებერვალი თითქმის მიწურულშია. დადგა ყველიერი. დიდი თუ პატარა მხიარულობას ეძლევა, დილით საღამომდე მთელ ნიცაში ხმაურობა არ სწყდება. მუსიკა, სიმღერა, სიცილი, ჟვილ-ხივილი ადამიანს ყურებს უჭედავს. ყველას ეშურება, ყველა ცდილობს დრო მხიარულად გაატაროს. ყველგან ასეა ყველიერი. ან კი ვინ გაამტყუნებს! აგერ დიდ-მარხვა კარს მომდგარა, მაშინ ქეიფისა და მხიარულობის დრო აღარ არის, ადამიანს მაშინაც ეყოფა ცოდვებზე და სულის ცხონებაზე ფიქრი და ზრუნვა.

აგერ დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეც. ეს დღე სრულიად ჩაჰშხამდათ ნიცელებს, მთელის კვირის მხიარულობა, სიცილი ტირილად გადაექცათ. მთელი დღე საუცხოვო დარი იდგა. მთელი ქალაქი გარედ გამოიფინა. სიცილი, მხიარულობა, თამაში არ შესწყვეტილა საღამომდე. დაღამდა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მშვიდი, წყნარი, თბილი ღამეა. ქუჩებში ხმაურობა ცოტად შესწყდა. დაქანცულ დაწყვეტილი ხალხი სახლებში დაბრუნდა. კარგა გაიარა ღამემაც. გათენებამ მოატანა. მაგრამ შავად გაუთენდათ ნიცელებს ეს დღე. დილის ექვსი საათია. მთელი ნიცა ღრმა ძილს მისცემია.

აგერ უცბად ტახტები წავიდ-წამოვიდა, სკამებმა შეითამაშეს და ხტუნვა დაიწყეს, ჭურჭელი მსხვრევით ძირს წამოვიდა, მოისმის ფანჯრების ჩხრიალი, ზარების წკარა-წკური. ხალხი შეშინებული წამოხტა, მაგრამ ნამძინარევი ჯერ ვერ მიმხვდარა, რა ამბავია.—ზოგს ჰგონია, ქურდები დაგვეცნენო, ზოგს ეჩვენა, ვითომ სახლი იქცევაო. მაინც ვისაც რა მოჰხვდა ხელში, ტანზე გადიგდო და ყველანი კარში გამოცვივდნენ. ცოტა ხანს უკან ისევ გონზე მოვიდნენ, შიშმა გაუარათ, დამშვიდნენ და სახლებში დაბრუნდნენ.

აი სწორედ ამ დროს რაღამაც ერთი საშინლად დაიგრიალა, მოისმა საზარელი გრგვინვა, სახლები წავიდ-წამოვიდა და მთელი ქალაქი ისე ირყეოდა, როგორც აღელვებულ ზღვაში ხომალდი. ახლა კი ყველას ფერი ეცვალა. ეჭვი აღარავის ჰქონდა, რომ ეს საშინელი მიწის-ძვრა იყო. ყველა შიშის ზარმა აიტანა და ვინც როგორ იყო, ისე გამორბოდა გარედ რომ როგორმე თავი გადაერჩინა. საშინელ სანახავს წარმოადგენდა ამ დროს მთელი ქალაქი: ცა გაწითლებული იყო, თითქოს ქალაქ ცეცხლი მოჰკიდებიაო; ჰაერი ისე შეხუთული იყო, რომ ადამიანი სულს ვეღარ იბრუნებდა; სახლები, სამრეკლოები გვერდზე გადახრილიყვნენ, ბანებიდამ აგური, ქვა, კრამიტი სეტყვასავით ცვიოდა. ქალი, კაცი, დიდი, პატარა,—ზოგი პერანგის ამარა, ზოგი საბანში გახვეული, ზოგი ისევ სადღესასწაულო ტანისამოსში,—ყველა ერთმანეთში არეული, ყველას შიშისაგან მკვდრის ფერი ადევს, ყველა სიკვდილისაგან თავის გადარჩენასა ფიქრობს, ყველას თავი აულია და მირბის, მაგრამ სად, თითონაც არ იცის. ისეთი საცოდაობა, ზღაილი და ყრიამული

შენს ოჯახსა; მაგათი რა ბრალია შენი დის მოტაცება? თუ შეგიძლიან რამე, წადი და ვინც და მოგტაცა, იმას გაეცი პასუხიო.

როგორ თუ შენ მაგას მეუბნებიო, გაიძრო ამ გახელებულმა ოსმა ხანჯალი, დასცა გულში საწყალს კაცსა და იქვე სული გააფთხობინა.

* * იქიდამვე გვწერენ: ამ ჟამად მინდვრის ოსებში, მშვენიერი ამინდები დგას, ზამთრის თოვლი თითქმის ბევრგან აღარ არის მინდორში, სრულიად გადნა. როგორც თებერვლის გასულს და მომავალ მარტს ზნედა სჭირს, ხან-დის-ხან ცოტ-ცოტა თოვლ-ჭყაპი მოდის, მაგრამ თბილი მზე უცბად აწყალებს ხოლმე. ასეთი ამინდი მინდვრის ოსებს ძალიან უხარიანთ, ამბობენ, მოსავლისათვის კარგი არისო.

* * სომხებში ერთი კარგი ჩვეულება არის შემოღებული: რომელიმე კეთილის-მყოფელი წლის ფასს უგზავნის რომელისამე გაზეთის ან ჟურნალის რედაქციას და სთხოვს, ამა-და-ამ სასწავლებელს ანუ ამა-და-ამ ეკკლესიის მღვდელს გაუგზავნეთ გაზეთიო. გაზეთი აცხადებს ყოველ ამ გვარს შემომწირველს. ამ ჟამად სომხური გაზეთი „მშაკი“ აცხადებს, რომ ბაქოს მცხოვრებს ბატონ გრიგოლ აივაზიანს დაუკვეთია წლევანდელი „მშაკი“ სპარსეთის ქალაქ რეშტის სამწიგნობროსათვის. ამისთანა მაგალითი ამ წელს, თუ არა ვცდებით, მეოთხე თუ მეხუთე უნდა იყოს.

* * გაზ. „მშაკი“ სწერს: ბაქოში 18 თებერვალს გარდაცვლილა ერთი ყარაბაღელი, სახელად ნიკოლოზ კრასილნიკვანცი და უანდერძებია ფული სხვა-და-სხვა სამადლო საქმეებისათვის: განძასართის მონასტრისათვის 2,000 მან., ტათევის მონასტრისათვის 1,500 მან., იერუსალემის წმ. იაკობისს მონასტრისთვის 1,000 მან., ეჩმიაძინის მონასტრისათვის 1,500 მან., ბაქოს საქველ-მოქმედო ამხანაგობისთვის 500 მან., რომლის სარგებლით ობოლი უნდა შეინახოს; ბაქოს სომხის ეკკლესიისათვის, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად,500 მან.,და მღვდელს, თავის სულის მამას 200 მან. ამბობენ სხვა სამადლო გასაცემადაც ანდერძი დაუტოვებია. აქ ჩამოთვლილი მხოლოდ უმთავრესიაო.

* * „მშაკის“ სიტყვითვე. ბათუმში სომხურ თეატრის მოყვარეთა ყველიერის კვირას წარმოდგენა ჰქონიათ იქაურ სომხის სასწავლებლის სასარგებლოდ და ოც თუმანზე მეტი შემოსულიათო.

* * 27 თებერვლის ღამეს, ავლაბარში, ტატულოვის დუქანში, ტფილისის სამხედრო სურსათის მაღაზიის ჯარის-კაცთ სვიმონ შვეცოვსა, სალახდინ ალიევს, ბითებირიშ მუხამეტოვსა დანეზ-ამტინ-მუხამედგამევს მოუკლავთ ვიღაც დედა-კაცი, რომლისა არც სახელი იციან და არც გვარი. ამათში ერთი დაუჭერია პოლიციელს მოგელევს იქვე დუქანში და დანარჩენნი-კი ყაზარმაში გაქცეულან, მაგრამ იქაც უპოვნიათ და დაუჭერიათ. ყველა დამნაშავე ჯარის-კაცთ ხელები და ტანისამოსი სისხლში ჰქონიათ მოსვრილი.

რუსეთის ღვინის კეთების საქმე

(შემდეგი*)

კამისიამ გადასწყვიტა აგრეთვე გამართვა ისეთის სახელმწიფო სარდაფებისა, როგორიც ავსტრიაშია. ამ სარდაფებში საუკეთესო ღვინის კეთება იქნება შემოღებული. თითო სარდაფში 10,000—50,000 ვედრამდე ღვინო უნდა გაკეთდეს. ეს სარდაფები ღვინის ბანკივით იქნება. სარდაფი ტკბილს იყიდის და კარგს ღვინოს დააყენებს. გაჭირებულ ვენახის პატრონს წინ-და-წინ ფულსაც ასესხებს.

როგორც მთელის სამხრეთ-რუსეთის ღვინო ყირიმის ღვინოდ ისყიდება, ისე კავკასიის ღვინოები კახეთის ღვინოებად. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბევრი ისეთი ადგილებია, რომ იმ ადგილების ღვინო სრულიად არ დაუვარდება კახეთის ღვინოსა და და სრულიად საჭირო არ არის კახეთის ღვინის სახელი დავარქვათ. ახლა მყიდველებმა მარტო კახეთის ღვინო იციან, ამიტომ რომ სხვა ღვინოებს ჯერ თავიანთი საკუთარი სახელი არ მოუპოვებიათ.

როდესაც სახელმწიფო სარდაფები დააარსდება, მაშინ ყველა მდარესა და თავისებურს ღვინოს თავისი ეხტიბარი ექმნება და თავისი საკუთარი სახელი გაუკეთდება.

ყურძნისაგან არაყის გამოხდა აიკრძალება, რადგანაც ღვინო უფრო ფასიანი საქონელია, ვიდრე არაყი.

ამ უკანასკნელ ხანებში მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება ყალბის ღვინის კეთებას. ყალბის ღვინის კეთებამ ევროპაში იმიტომ უფრო მოიკიდა ფეხი, რომ ფილოქსერამ ვენახები გაახმო და ამასთანავე ღვინის კეთების ქიმია ძრიელ წინ წაიდა; ამის გამო ზოგიერთ ღვინოებში ერთი წვეთი ყურძნის წვენი არ ურევია.

ყალბის ღვინის კეთების საქმე კომისიამაც განიხილა. კომისიის აზრით, ღვინის განკარგება ზოგიერთის ნივთიერების მიმატებით სრულიად არა ნიშნავს ყალბის ღვინის კეთებას. ვთქვათ, მაგალითად, კარგ მოსავლიანს წელიწადში ღვინოს ბუნებით 20% შაქარი დაჰყვა; თუ ცოტა გრილი წელიწადი დადგა და ყურძენი კარგად ვერ დამწიფდა, მაშინ შაქარი ნაკლებად ექნება, ვსთქვათ, 16%. მაშინ ღვინის მკეთებლებმა უნდა მოუმატონ დანარჩენი 4% შაქარი. სწორედ ამ გვარად უნდა მოიქცეს კაცი,—როდესაც სპირტი დააკლდება, მაშინ სპირტი უნდა მოემატოს. ღვინის დასაწმენდად შეიძლება მიმატება ჟელატინისა, რძისა და სხვანი. თუ ღვინის მკეთებელს ორი ჯურა ღვინო აქვს, ტკბილი და მჟავე, მაშინ იმას შეუძლიან ორივე ღვინო ერთი ერთმანეთში აურიოს. თუ ღვინო ძრიელ დაბალია და საჭიროა სიმაგრე მიემატოს, შეიძლება სპირტი გაურიონ. აკრძალულია მხოლოდ გარევა გოგირდისა და სალიცილის სიმჟავისა, გლიცერინისა და სხვანი. თეთრის ღვინის შავ ღვინოდ გადაკეთება აღკრძალულია,—ხელ-ქმნილის ღვინის კეთება აღკრძალული არ არის, ხოლო ამ გვარ ღვინოს ღვინო არ დაერქმევა.

მთავრობა დააარსებს ლაბარატორიებს ღვინის გასასინჯავად (для анализа). კერძო კაცთაც ექნებათ ლაბარატორიის დაარსების ნება, მაგრამ ამ გვარი ლაბარატორიები მთავრობის ზედა-მხედველობის ქვეშ იმუშავებენ.

ბ.ნ ჯორჯაძეს უთქვამს კომისიაში, რომ აკრძალული იქმნას ღვინის კეთება იმ გუბერნიებში, სადაც ვაზი არა ხეირობსო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მოსკოვისა, ტვერისა, ნიჟე-გოროდისა, სარატოვისა და ზოგიერთ სხვა გუბერნიებში ღვინოს ქიშმიშისაგან აკეთებენ და ამით ცილობას უწევენ იმ ქვეყნებს, სადაც ღვინის კეთება ვენახის პატრონების ხელშია. მაგალითად, მოსკოვში გაკეთებული ქიშმიშის ღვინო ბოთლი ერთი აბაზი ღირს; ამ ფასიდამ რომ სხვა-და-სხვა ხარჯს გამოვიდეთ, ბოთლის ღვინის ფასი 6 კაპ. იქნება. რასაკვირველია, რაც უნდა დაბალი ღვინო წაიღონ ჩვენის ქვეყნიდამ რუსეთში, მაინც კიდევ 6 კაპეიკზე მეტი დაჯდება და ამიტომ ამ გვარის ღვინოების შეცვლება ავნებს ნამდვილ ღვინით ვაჭრობას. მაგრამ კომისიამ შესაძლოდ ვერ დაინახა, რომ აკრძალულ იქმნას ქიშმიშის ღვინის კეთება, რადგანაც ამ გვარი სასმელი მავნებელი არ არის კაცისათვის. ამ გვარის ღვინის კეთება მთავრობის ზედამხედველობის ქვეში წარმოებს.

ჩვენის კავკასიის ღვინოებს, რომელიც ეხლა რუსეთში მიაქვთ, ვლადიკავკავიდამ პეტერბურგამდე სამჯერ ვაგონს უცვლიან ხოლმე; ამის გამო ღვინო ინჯყევა და ფუჭდება. კომისიამ უნდა იშუამდგომლოს, რომ ამ გვარად ღვინოებს ადგილები არ უცვალონ ხოლმე და ერთის ვაგონიდამ მეორეში არ გადიტანონ.

ღვინის კეთების წარმატება იმაზედაც არის დამოკიდებული, გამოიყენებს თუ არა ღვინის მკეთებელი, როგორც რიგია, თავის თხლე-ჭაჭას. არაყის ხდა თხლე-ჭაჭისაგან წინად ძრიელ შევიწროებული იყო; თუმცა მთავრობამ ცოტა შეამსუბუქა საბაჟო წესდებანი ამ საგნის შესახებნი, მაგრამ მთლად განთავისუფლება კი ვერ მოახერხა, რადგანაც უბაჟო ჭაჭის არაყი ცილობას გაუწევდა რუსულ პურის არაყს, მის წარმოებას შეავიწროვებდა და ამით სახელმწიფო ხაზინის შემოსავალს დიდს ზარალს მისცემდა. ამის გამო არყის გამომხდელი ბაჟს მხოლოდ მაშინ გაიღებს, როდესაც გაჰყიდის. შემდეგ მთავრობა ყოველის გზით ეცდება,რომ ჭაჭის არაყისაგან კონიაკისა და სხვა ძვირფასის სასმელების კეთება გაავრცელოს.

ბოლოს თ. ჯორჯაძემ სთქვა, რომ მართალია, ამ გვარ საშუალებათა შემწეობით ჩვენის ღვინის კეთების წარმატებაში შეყვანა ძრიელ ბევრს ხარჯს მოითხოვსო,მაგრამ მთავრობის კომისიამ სთქვა, რომ ამ გვარს ხარჯს მთავრობა სრულიად არ დაერიდებაო, მით უფრო, რომ ღვინის კეთებისაგან სამერმისოდ დიდს შემოსავალს მოელის სახელმწიფო ხაზინაო.

---

*) იხ. „ივერია“ № 39.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს „Новое Время“-ში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელზედაც ჩვენის მკითხველების განსაკუთრებულს ყურადღებას ვაქცევთ. რადა? ამას მკითხველი ქვემოდ გაიგებს, ეხლა კი ვიტყვით, რომ ეს წერილი რუსეთის კარგად ცნობილს ისტორიკოსს ილოვაისკის ეკუთვნის. ავტორი კითხულობს: ჰსურს ბისმარკს საფრანგეთთან ომი თუ არაო?—და ასეთს პასუხს იძლევა.

> რაც უფრო ბევრსა ჰყვიროდნენ გერმანიის გაზეთები და პარლამენტის ორატორები, რომ საფრანგეთთან ომი აუცილებლად მოგვიხდება და უნდა მოვემზადნეთო, მე იმდენად უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ეს სულ ტყუილია. გერმანია განგებ ჰყვიროდა, ყველას აშინებდა ამ საშინელის ომითა, რომ ჩვენთვის თვალი აეხვია და „აღმოსავლეთის საქმე“ დროით როგორმე მიეყრუებინა. თორემ აბა თქვენ თითონ მითხარით: საიდგან გამოტყვრა ასე უცბად, მოულოდნელად გერმანიისა და საფრანგეთის შორის ომი, როდესაც ლაპარაკი მარტო ბოლგარიის საქმეზე იყო, მთელის ევროპის ყურადღება ბალკანის ნახევარ-კუნძულზე იყო მიქცეული. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს ლაპარაკი ვიღაცის შთაგონებით აღიძრა. მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავდა, თორემ ყველასათვის აშკარა იყო, რომ საფრანგეთი აქ არაფერ შუაშია, საფრანგეთს აზრადაც არა ჰქონია, გერმანიას დასცემოდა. საფრანგეთი მარტო იმას ამბობდა, რომ თუ თავს დამესხმის გერმანია, პასუხს გავსცემო. გერმანიასაც არა ჰსურს საფრანგეთს დაეცეს, და თუნდ ჰსურდეს კიდეც გერმანიას საფრანგეთთან ომი, განა ასე უვირილს დაიწყებდა? არა სად გაგონილა, რომ ერთი მეორეს ომს უპირებდეს და წინათვე უთხრას მტერსა: „მზად იყავ, შენზედ საომრად მოვდივარო“.

ერთის სიტყვით, წერილის ავტორი იმ აზრისაა, რომ გერმანია

იდგა თურმე, რომ ადამიანს მეორედ მოსვლა წარმოუდგებოდა თვალ-წინა.

* *

წარმოიდგინეთ, მართლა, რა საცოდავი, საშინელი სანახავი უნდა ყოფილიყო ეს ამოდენა ხალხი, რომელიც ძილიდგან წამომხტარა და თითქმის ტიტველა ქალაქ გარედ გამოხიზნულა. ამოდენა ხალხი ცის ქვეშა დგას, სიცივისაგან კანკალებს და ცახცახებს და ამასთან ყოველს წამს მოელის, რომ აი კიდევ შეინძრევა მიწა, ამოდენა ხალხს ერთად აქვე საფლავს გაუვითხრის და ცოცხლებს დაგვმარხავსო.

საკვირველი არ არის, რომ ადამიანმა ასეთ შიშში, განსაცდელში ჭკუა დაკარგოს და თითონაც არ იცოდეს, რა ყოფაშია და რას სჩადის. აი, მაგალითად, იქ დამსწრენი და მნახველნი რა ამბებს მოგვითხრობენ.

ერთი ახალგაზდა ქალი ღამის პერანგში, გულ-გახსნილი, სახეზე პირბად-ჩამოფარებული ჭკუაზე შეშლილივით დარბის, საშინელის ხმით ყვირის და ხან აქედ ეცემა, ხან იქით. აქვე ერთი დედა-კაცი დგას პერანგის ამარა, ხელში კედლის საათი დაუჭერია მაგრა და ვიღაზედაც ჯავრობს და გულს იბრუნებს. აგერ კიდევ ერთი ყმაწვილი კაცი, მაღალის საზოგადოებისა, პერანგის ამარა გაშეშებულა ერთ ადგილას, გადარეულივით იყურება აქედ-იქით და თავიდამ კი მაღალ ქუდს, ცილინდრს არ იშორებს.

გავიდა რამდენიმე საათი. ქვესკნელში გუგუნი შესწყდა. ყველას ცოტა იმედი მიეცა, ეგონათ, განრისხებულს, აღშფოთებულს ქვესკნელს შეებრალა ამოდენა ხალხის საცოდაობა და მიწყნარდაო. ტყუილი იმედი იყო. დილის რვა საათი იქნებოდა, რომ ქვესკნელმა ერთხელ კიდევ დაიგრიალა და დედა-მიწა საშინლად შეარყია. ამავე დროს დაბრუნდნენ ქალაქში წასულები და საშინელი ამბავი მოიტანეს: სახლები დანგრეულა და ბევრი ხალხი ქვეშ მოუტანიაო. ისეც შეშინებულ ხალხს ეს-ღა აკლდა. შიშისაგან ზოგს გული მისდიოდა, ზოგმა აქვე სული განუტევა. იგრიალა ერთბაშად ამოდენმა ხალხმა, და ზოგი რკინის გზას მიაწყდა, რომ შორს სადმე წასულიყო, ზოგი ხომალდებისკენ გაიქცა, ვითომ ზღვაზე უფრო უშიშრად ვიქმნებითო, ზოგმა კიდევ სოფლებისკენ გასწია. ასტყდა ერთი საშინელი წივილ-კივილი. ესენი სოფლებისკენ მირბოდნენ და სოფლელები კიდევ ქალაქისკენ მორბოდნენ თავის გადასარჩენად. აირია ხალხი ერთმანეთში და ამ არეულობაში, ვინ იცის, რამდენი ფეხ-ქვეშ გაიტანეს.

ასე გაატარეს საწყალმა ნიცელებმა მთელი დღე ცის ქვეშ. საღამომდე რამდენჯერმე იყო კიდევ მიწისძვრა, მაგრამ ძალიან სუსტი. ღამდა, და სახლებში დაბრუნებას არავინ ფიქრობდა. სიცივეში ულოგინოდ, უტანისამოსოდ გარედ უნდა გაეტარებინათ ღამე. კარგი კიდევ, რომ ქალაქის გამგეობამ იფიქრა, და კარვები დადგა. მაგრამ რას ეყოფოდა ამოდენა ხალხს. კარვებში ქალები და ყმაწვილები ძლივ დაეტივნენ. კაცებისთვის დიდრონა ცეცხლები დაანთეს და მთელი ღამე ასე გაატარეს.

* *

ეს უბედურება მარტო ნიცას არ დაატყდა თავსა. კარგა დიდ მანძილზე ყოფილა მიწის-ძვრა. მიწის-ძვრა უგრძვნიათ სამხრეთ-საფრანგეთში და ნიციდამ ზღვის პირას გაყოლებული ზემო-იტალიამდე. ნიცის ახლო-მახლო ქალაქებში და სოფლებში უფრო დიდი უბედურება დაუტრიალებია ამ მიწის ძვრასა. მაგალითად, ზღვისპირას ალპის მთების ძირში რამდენიმე სოფელი სრულიად დანგრეულა და ორი-ათასამდე ხალხი ქვეშ დაუტანია. ერთ სოფელში სწორედ წირვის დროს ეკკლესია დანგრეულა და სამასი კაცი ქვეშ მოუყოლებია.

ბევრგან მშვიდობიანად გადარჩენილან, თუმცა შიშს-კი, რასაკვირველია, ესენიც ბევრს გამოიელიდნენ.

მაგალითად, ზღვის-პირას დაინგრა ის სახლი, სადაც გამოჩენილი პასტერი სცხოვრობდა, და გამოჩენილი მეცნიერი ქვეშ მოიტანა. ბედზედ პოლიციელებმა დროზედ მიასწრეს და პასტერი სიკვდილს გადაარჩინეს. შიშმა გადაუარა თუ არა, პასტერი მიუბრუნდა პოლიციელებს და უთხრა: „ჩემო მეგობრებო, ჩემ ოთახში ერთს კუნჭულს მიყრილია საექიმო იარაღები; თუ შეიძლება, როგორმე გამოიტანეთ, რომ საწყალ ავად-მყოფებს ვუშველოთო“.

მენტონში ერთი ახალ-გაზდა პარიქელი ჯვარს იწერდა. სწორედ ამ დროს მიწა იძრა. მღვდელს ისე შეეშინდა, რომ ჯვარის წერას თავი დაანება და პირ-და-პირ შემოსილმა მოჰკურცხლა ეკკლესიიდამ. მეფემაც პატარძალს თავი დაანება, გამოუდგა მღვდელს, მაგრამ დაწევნით კი ვერ დაეწია. საბრალო მეფე მერე გონს მოვიდა და მთელი დღე დარბოდა, რომ სხვა მღვდელი ვინმე ეშოვნა და ნახევარზე შეწყვეტილი ჯვარის წერა დაესრულებინა. მაგრამ სად იყვნენ მღვდლები, ან ამისთვის ვილასა სცხელოდა. ბოლოს როგორც იყო იშოვა მღვდელი, რომელმაც გაბედა ეკკლესიაში წასვლა. მანამ მღვდელი წესს ასრულებდა, საწყალი დედოფალი ხმა მაღლა ტიროდა და ეუბნებოდა საქმროს: „თუ ჩვენი ბედნიერება ხან-მოკლე იქნება და დღესვე დავიხოცებით, ის ნუგეში მაინც მექნება, რომ შენს ახლო ვიქნებით“.

განთქმულ მონაკოში გაცხარებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად არა ჰფიქრობს საფრანგეთთან ომსაო და თუ ეს ყვირილი ასტეხეს, ბისმარკს სულ სხვა განზრახვა ჰქონდა, ბისმარკს ჰსურდა, ვიღასთვინაც თვალები აეხვიაო.

ამას მიჰხვდნენ რუსეთის გაზეთები მხოლოდ ეხლა, ამას ამბობენ მხოლოდ 20 თებერვალსა.

ჩვენი გაზეთი ამავე საგნის შესახებ აი რას ამბობდა 10 იანვარს, მაშასადამე უფრო ადრე, ვიდრე ერთის თთვის წინად.

> გითომ საფრანგეთი აქვს (ბისმარკს) ნიშანში ამოღებული და მარტო ელის, გარემოება მისდა სასარგებლოდ მოეწყოს, რომ მიესიოს და ტუტა ადინოსო. მართლა ეგრეა? არა გვგონია; არა გვგონია, იმიტომ-რომ ჭკვათა-მყოფელი კაცი მტერს აგრე აშკარად არ გადუშლის თავის გულის-ნადებსა, ეს ერთი. მეორე ისა, რომ გონიერი კაცი თავის მტერს ვერ ეტყვის: ეხლა გარემოება იმოდენად არა მშველისო, რომ შენ მოგერიო და მერმე კი მე ვიციო. ორში ერთი: ან ბისმარკი ატყუებს საფრანგეთს... ან თვალით ერთისკენ იყურება და ნიშანში კი სხვა ჰყავს ამოღებული საცდენადა... ჩვენ ეს უკანასკნელი უფრო ჭკვასთან ახლო მიგვაჩნია...

აი რა სთქვა ჩვენმა გაზეთმა მაშინვე, როდესაც ბისმარკის სიტყვამ მთელი ევროპა ააყაყანა... ვერაფერი შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსები ყოფილან რუსეთის გაზეთების მოთავენი, თუ ბისმარკის განზრახვას მხოლოდ დღეს მიუხვდნენ...

⁂

„ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო", — ამბობენ ჩვენში. ვისაც რამდენი ჰნებავს დამცინოსო და მე კი ჩემსას არ დავიშლიო, უთქვამს ბ-ნ მეშჩერსკის და შესდგომია საქმეს. აბა მართლა და ვის მოუვიდოდა ჭკუაში ასეთი აზრი. ბ-ნ მეშჩერსკის თავის გამოჩენილ „Гражданинъ"-ში დაუბეჭდია ერთი წერილი, სადაც ბისმარკი თავისებურად გააქვს და გამოაქვს. მაგრამ მეშჩერსკის თავის ტკივილი ის იყო, რომ თითონ ბისმარკს როგორმე წაეკითხა ეს წერილი, ბისმარკს გაეგო, რას ამბობს მეშჩერსკი იმაზე. როგორ მოეხერხებინა ეს? ჩაიხედა მეშჩერსკიმ რედაქციის დავთრებში და ნახა, რომ ბისმარკი „Гражданинъ"-ის ხელის-მომწერლად არ ითვლება. მაგრამ მეშჩერსკი მოხერხებული კაცია: არც აილო, არც დაიდო, ბევრი აღარ იფიქრა, გაახვია თავის გაზეთი ქაღალდში და ფოსტით პირ-და-პირ გაუგზავნა ბისმარკსა.

წარმოიდგინეთ, მეშჩერსკის მასხრობას გაუჭრია. გერმანელებს არამც თუ წაუკითხავთ მეშჩერსკის ნაწერი, დიდი ყურადღებაც მიუქცევიათ, გული მოჰსვლიათ და ჯავრობენ კიდეც ხუმარა თავადზე. არ ვიცით ეს მართალია თუ არა, და მეშჩერსკი კი ასე გვარწმუნებს

> სასაცილო წერილები მომდის გერმანიიდამ, გვაუწყებს ბ-ნ მეშჩერსკი. დღეს, მაგალითად, ქალაქ კენიგსბერგიდგან მივიღე ლანძღვით სავსე წერილი, რომელსაც ასე აქვს ქვეშ მოწერილი: ათასზე მეტი გერმანელი ხელს მოაწერს ამაზეო. თითქმის ასეთივე წერილები მომივიდა დრეზდენიდამ, ბერლინიდამ, ფრანკფურტიდამ და გენაუდამ. ყველა წერილებიდგანა სჩანს, რომ გერმანელები ჩემს წერილს ძალიან გაუცეცხლებია...

ბ-ნი მეშჩერსკი საკვირველი გულ-დია კაცია, არაფრის დამალვა არ იცის, იმასაც კი არა ჰმალავს, წერილის ავტორები როგორ ჰლანძღვენ. ვერ ვიტყვით ნამდვილად, რა ქება-დიდებას უძღვნიან და როგორ ამკობენ და, როგორც თვით მეშჩერსკის სიტყვებიდამა სჩანს, ეს კი ცხადია, რომ ვერაფერ პატივით იხსენიებენ. ბ-ნ მეშჩერსკის ეს როდი სწყინს, ამას მხოლოდ ის უკვირს, რომ ამის წერილს ისეთი დიდი ყურადღება მიაქციეს.

> მართლაც და, — ბრძანებს მეშჩერსკი, თუ ჩემი წერილი მართლა სულელის, ჭკუაზე-შეშლილის როტვაა, როგორც გერმანიის გაზეთები ბრძანებენ, მაშ განა ღირდა ამაზედ ამდენი ყაყანი და ლაპარაკი. თუ ასე იყო, არა სჯობდა, სრულიად გვერდზე მიეგდოთ ჩემი ნაწერი და კრინტიც არ დაეძრათ. არა, ეტყობა, რომ ჩემი სიტყვა მარტო სიცხიანის ბოდვა არა ყოფილა.

გაი ყურადღება მიუქცევიათ! მართალია, მეშჩერსკი გვარწმუნებს, რომ ცილის-წამებაა, რასაც გერმანიის გაზეთები ჩემზე ამბობენო. მე მართალს ვამბობ და ჭკვიანურადაცა ვსწეროო. შეიძლება, მაგრამ ამ უზდელ, ბრიყვს გერმანელებს რომ არა სწამთ და ამის ნაწერს მაინც სისულელეს ეძახიან?!

უცხოეთი

ბოლგარია. სილისტრიასა და სოფიის შორის დეპეშების მიწერ-მოწერა შეწყვეტილა. თუ სილისტრიაში აჯანყებას ბოლო არ მოუღო და მშვიდობიანობა არ ჩამოვარდა, ოსმალეთი აღმოსავლეთ რუმელიაში ჯარებს ჩააყენებსო.

— პარიჟიდგან აუწყებენ გაზ. „Daily News"-ს დეპეშით: რუსეთმა გარდაწყვიტა, რომ ბოლგარიის საქმეს არ აუჩქარდეს და დროებით მოლოდინის პოლიტიკას ადგესო.

— პეტერბურგიდგან აუწყებენ იმავე გაზეთს: ოსმალეთი საცირკულიარო ნოტას ამზადებს ყველა დიდთა სახელმწიფოებთან დასარიგებლად, რომ მე ყოველსავე ბრალს ვიყრი, თუ მერმისში რაიმე უსიამოვნება და უთანხმოება მოხდა ბოლგარიის გამწვავებულის საქმის გამოვო.

ინგლისი. სალონიკიდგან აუწყებენ დეპეშით „Journal des Debats"-ს: ამას წინად ინგლისის სამხედრო აგენტმა სტამბოლში მაიორმა ტროტტერმა მაკედონიაში წასვლა განიზრახა. ინგლისის გემები „Cockatrice" და „Albacore" დიდხანს დადიოდნენ სალონიკის წყლებზედ. მაიორი ტროტტერი რამდენსამე ალაგას ჩამოხტა და კუნძულის ფაზოსის ახლო წყალი გააზომინა. შემდეგ მაიორი ტროტტერი წავიდა დარდანელისა და ბულაირისაკენ და რამდენისამე სიმაგრის გეგმა აიღებინა. ამ გარემოებამ ძალიან შეაშფოთა თურმე ოსმალეთის პოლიტიკოსები. მაშინვე სულთანს შეატყობინეს, რომ მაიორი ტროტტერი სალონიკის წყლებზედ დადის ინგლისის გემებითაო. სულთანს გააგებინეს მიზეზი მაიორის ტროტტერის მოგზაურობისა და ის უთხრეს, ვითომ ინგლისის სურვილი ის არის, რომ თუ რუსეთი ბოლგარიაში ჯარებს ჩააყენებს, სალონიკში ავსტრიელები შეიყვანოსო და ან მაინც-და-მაინც კუნძული ფაზოსი მიისაკუთროს და დარდანელის სრუტეს შემოარტყას თავისი გემები და შეჰკრასო. სულთანი ძალიან გულ-ნაწყენია, როგორც ეტყობა, და ამიტომ სალონიკში იმ აზრისანი არიან, რომ თუ ინგლისი თავისას არ მოიშლის და შემდეგშიაც ისე იმოქმედებს, როგორც ამ ჟამად მოქმედებს, ოსმალეთს უფრო მტრად გაიხდის და რუსეთს დაუახლოვებს და დაუმეგობრებსო. ოსმალნი საზოგადოდ ძალიან შეშფოთებულნი და გულზე მოსულნი არიან ინგლისელების ამ გვარად მოქმედების გამოვო.

— ლონდონიდგან აუწყებენ „Journal des Debats"-სავე: „აქ იმ აზრისანი არიან, რომ ადვილად შესაძლებელია გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიის დამეგობრება და დაახლოვება, მით უფრო, რომ ამ სახელმწიფოთა ადრეცა ჰქონდათ კავშირი შეკრულიო, ხოლო ძნელად თუ ინგლისიც მათ მიემხრობს და მოკავშირედ გაუხდესო. უფრო ისა ჰგონიათ, რომ ინგლისი პირველში არც ერთს სახელმწიფოს არ შეუკავშირდება, ხოლო შემდეგში წამოდგება წინ და ავსტრიას დაუწყებს მომხრეობასაო. მეორეს მხრივ, რომიდგან დეპეშა მიუღია ოსმალეთს, რომ იტალიასთან შეკავშირებას და დაახლოვებას გერმანიაცა სცდილობს და საფრანგეთიცაო. იტალია-კი ჯერ-ჯერობით უკანა დგება და იმის ცდასა და ზრუნვაშია, რომ რაც შეიძლება დიდი ქრთამი გამოართოს იმ სახელმწიფოს, რომელსაც მიემხრობა; იტალიაში ზოგნი საფრანგეთთან კავშირს არჩევენ და ზოგნი გერმანიასთან. გერმანიასთან შეკავშირებას უფრო ბევრნი არიან მოწადინებულნი, რადგან გერმანიას საფრანგეთზედ დიდს ლუკმას გამოგლეჯავთო.

ოსმალეთი. სტამბოლიდგან აუწყებენ „Journal des Debats"-ს, რომ რიზა-ბეი სოფიაში ისე წავიდა, როგორც ოსმალეთის დელეგატიო. რიზა-ბეის მინდობილი აქვს, რომ ბოლგარიის სხვა-და-სხვა დასნი მოარიგოს ერთმანერთში და საზოგადოდ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლად იყოს ბოლგარიაშიო. პირველად ამ საქმისათვის ოსმალეთს გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანის ართინ-ეფენდის გაგზავნა უნდოდა სოფიაში, მერე აზრო-ეფენდი, ბოლგარიაში ერთხელ უკვე დელეგატად ყოფილი და დასასრულ, სახელმწიფო რჩევის პრეზიდენტის თანაშემწე მაჰმუდ-ფაშა, მაგრამ ართინ-ეფენდი აღარ გამოიმეტა და რიზა-ბეი გაგზავნაო. ოსმალეთის პოლიტიკურს წრეებში რიზა-ბეის ბოლგარიაში გაგზავნას ისე უყურებენ, როგორც უკანასკნელს ღონის-ძიებას ოსმალეთის მიერ მიღებულს ბოლგარიის გამწვავებულის საქმის გადასაწყვეტად და დასაბოლოვებლად. თუ ამ ღონემაც უქმად ჩაუარა ოსმალეთს, მაშინ ოსმალეთი გამოუცხადებს ყველა იმ დიდთ სახელმწიფოთ, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზე ხელი უწერიათ, რომ მე ყოველივე საშუალება ვიხმარე და მინდოდა დამებოლოვებინა როგორმე ბოლგარიის საქმე, მაგრამ ვერ მოვახერხე და ამიტომ თქვენთვის მომინდვია ამ საქმის გარდაწყვეტაო. ერთად-ერთი ჩემი სურვილი ის არის, რომ ბოლგარიის საქმე ბერლინის ხელ-შეკრულობის თანახმად გარდაწყდესო.

— ბოლგარიაში მიმავალი რიზა-ბეი სულთანის განკარგულებით უკან სტამბოლშივე დაუბრუნებიათ. ხმა დადის, რომ სულთანმა რუსეთის ელჩის თხოვნით დააბრუნა უკანვე რიზა-ბეიო.

— ოსმალეთის მოხელეთ დაუჭერიათ ინგლისის გემი „მაროკკო", რომელიც ზარბაზნებით და ტყვია-წამლით ყოფილა დატვირთული. ეს გემი კარნაში უნდა წასულიყოვო.

* * *

გასართობი

მეცნიერის „ჩემდა საბედნიეროდ". ასტრონომი რუდოლფ ფალბი, ავსტრიის მეცნიერი, იმ აზრისაა, რომ ყოველ მზის დაბნელებას მიწის-ძვრა მოსდევსო. თუ დედა-მიწის ერთს მხარეს, მაგალითებრ, მზე დაბნელდა, უეჭველია, იმის მეორე მხარეს მიწის-ძვრა მოხდებაო. ამის თანახმად ათის წლის წინად ზაგრებში იწინასწარმეტყველა თურმე ფალბიმ, რომ დღეს საღამოზედ მიწის-ძვრა მოხდებაო. აი რას გვიამბობს თვით ფალბი ამ მიწის-ძვრაზედ.

— შვიდი საათი დაჰკრა, არაფერი ამბავია, აგერ ერთი მეოთხედი გადავიდა საათისა— არა სჩანს-რა. რვის ნახევარია—იმედი გადამიწყდა, შევშფოთდი. ჩემს სიტყვაზე ხალხი ქუჩებში გამოვიდა და ეხლა ეს ხალხი აღელდა და მუქარა დამიწყო. აგერ ერთი მეოთხედი აკლია საათისა, 15 წუთიც და რვა შესრულდება. ხალხმა ქალაქის საბჭოს ფანჯრებს ქვის სროლა დაუწყო. „ჩემდა საბედნიეროდ" 8 საათზედ მოისმა საშინელი ჭექა და ნახევარი ქალაქი დაინგრა. ჩემი წინასწარ თქმული აღსრულდა". „ჩემდა საბედნიეროდაო!" გაი ბედნიერებაა, როდესაც ამ ბედნიერებას ათასის კაცის სიკვდილი მოჰყვა!

ლი ქაღალდის თამაშობა იყო, როდესაც მიწა იძრა. ის სახლი, სადაც ქაღალდს თამაშობდნენ, ისე ძლიერ შეირყა, რომ მოთამაშეთ ქაღალდიც დაავიწყდათ, ფულიც და ყველაფერი ქვეყანაზე, თავ-მოგლეჯილები გამოცვივდნენ გარედ და შიშით ატანილნი აქედ-იქით გაიქცნენ; მხოლოდ ერთი აღმოჩნდა გულ-მაგარი,—და ფეხიც არ მოიცვალა. როდესაც ნახა, რომ ყველანი გაიქცნენ და ამოდენა აუარებელი ფული უპატრონოდ დარჩაო, არხეინად ჩაიწყო ჯიბეში და გაჰქრა. მერე ბევრიც ეძებეს თურმე, მაგრამ კვალსაც ვეღარ მიაგნეს.

შეადარეთ ეხლა ეს მაგალითი და პასტერის საქციელი. ერთად დააყენეთ „ეს საყომარბაზო სახლის გმირი" და მეცნიერი პასტერი. რა შორის-შორსა დგანან!... დარწმუნებულნი ვართ, რომ «მონაკოს გმირის» მსგავსნი კიდევ ბევრნი იქნებოდნენ. ავ-კაცობას და ბოროტ-მოქმედებას ვერა უბედურება ვერ შეაყენებს, პირიქით, სვავი და ყორანი მუდამ იმ ადგილს დასტრიალებენ, სადაც უბედურება ეგულებათ!

უბედურება ხშირად ჭკუას ასწავლის კაცსა, გზას უჩვენებს, სამერმისოდ როგორ აიცილოს თავიდამ ამ გვარივე უბედურება. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო".

მიწის-ძვრა ნიცის არე-მარეში იშვიათი ამბავი არ არის, ეს ჭირი დიდი ხანია სჭირს ამ ადგილს, თუმცა ასეთი საშინელი მიწის-ძვრა, როგორც ახლა იყო, კარგა ხანია არა ყოფილა, მაგრამ მოსალოდნელი-კი იყო.

აი ერთი ინჟინერი დიდი ხანია ატეხილა და იძახის, რომ მე ვიცი ამ მიწის-ძვრის მიზეზიო და თუ ამ მიზეზს რაიმე სახსარს არ ვუპოვნით, ასეთი უბედურება, როგორიც დღეს ეწვია ნიცას და იმის ახლო-მახლო ქვეყნებს, სამერმისოდაც არა ერთხელ დაატყდება თავსაო. სახსარსაც მევე მივაგნე, და თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ, საკულაოდ ამ უბედურებას თავიდგან აიცილებთო.

რა მიზეზი უპოვნია ამ კაცობრიობის კეთილის-მყოფელს? აი რა, ბატონებო.

ხმელთა-შუა ზღვის ჩაყოლებაზე, ქვემო-იტალიის ბოლოში ერთი მთა არის. ამ მთიდამ ხშირად საშინელი ცეცხლი ამოვარდება და მერე თან მოჰყვება ხოლმე მდუღარე ნაცარ-ტუტი და უზარ-მაზარი ქვები, რომელსაც საშინელის სიმძლავრით მთა შიგ შუაგულიდგან ისვრის დიდს სიმაღლეზე. ამ მთას „ვულკან ვეზუვის" ეძახიან. ინჟინერის აზრით, აი სწორედ ეს „ვეზუვია" მიზეზი იმ მიწის-ძვრისა, რომელმაც ნიცა დღეს ასე დააწიოკა. როგორ? აი როგორ.

„ვეზუვი" ამ ბოლოს დროს როგორღაც მიწყნარდა, მიჩუმდა. უწინდებურად აღარ იცის გახელება, გულის მოსვლა, როდესაც ისე საშინლად და მძლავრად ამოიქშენდა, რომ თავის ნაცარ-ტუტის წყაროებით მთელ ქალაქებს წაჰლეკავდა ხოლმეო. რისაგან მოხდა ეს? იმისაგანა, რომ იმ ლოდებით, რომელსაც ეს მთა ისროდა, თითონვე ამოევსო პირი; პირი შეეკრა, გული შეეხუთა და ვეღარ ამოუქშენია თავისებურადაო. ცეცხლი, ნაცარ-ტუტი კი ისევა გროვდება დედა-მიწის ქვეშა და რაკი ამ მთაში ამოსავალი გზა ვერ უპოვნია, ქვესკნელში დაიარება, მოდის ზღვის პირის-პირ, აწვება ქვეშიდამ დედა-მიწას და არყევსო. აი ეს არის თურმე ამ ადგილებში მიწის-ძვრის მიზეზი.

ვსთქვათ ესეც იყოს, მერე რითი ეშველება ამ საქმეს? განა არის რაიმე სახსარი, რომ ამ უბედურებას წამლად დაედოს? ინჟინერი გვარწმუნებს რომ არისო.

ქვაბში რომ წყალს ვადუღებთ, ორთქლი გროვდება. ორთქლი ქვაბს დიდის ძალით აწვება და თუ ქვაბი ყველა მხრიდამ შეკრულია, ორთქლი უთუოდ შეანძრევს და გაჰხეთქს. ეს რომ არ მოხდეს, ქვაბს უნდა ხუფი ჰქონდეს, საიდამაც ორთქლის ამოშვება შეიძლებოდეს.

სწორედ ასეა ქვესკნელიც. აქაც ორთქლი და სხვა-და-სხვა ორთქლის მსგავსი გაზები გროვდება. თუ ამ ორთქლსა და გაზებს ამოსავალი გზა, ხუფი არსად არა აქვთ, მიწას მოაწვება და შეარყევს.

„ვეზუვი" სწორედ აი ასეთი ხუფია იმ ადგილასა, რომელიც იტალიიდამ დაწყობილი ნიცამდინ მოსდევს ზღვის პირას. ეს ხუფი ეხლა გაფუჭებულია, მაშასადამე უნდა გაეკეთოთ და მაშინ ის უბედურება, რომელიც დღეს მიწის-ძვრას მოსდევს, აღარ იქნებაო.

ერთის სიტყვით, ინჟინერს იმის თქმა უნდა, რომ „ვეზუვი", რომელიც დღეს ქვებით არის ამოვსებული და ამოქოლილი, უნდა ამოიწმინდოსო. მაშინ გაზებს, რომელიც ქვესკნელში გროვდება, ამოსავალი გზა მიეცემა და მიწის-ძვრა აღარ იქნებაო.

ესეც ახალი ამბავი. ადამიანი იქამდინ მივიდა, რომ ამოწმენდასაც ჰზედავს. განა ეს შესაძლოა? რა არ არის შესაძლო მეცხრამეტე საუკუნეში? თუ კი გამოჩენილმა ლესეპსმა სუეზის არხი გაიყვანა, თუ კი იმავე ლესეპსმა ამერიკა შუა წელზე გასჭრა და ორი დიდი ზღვა შეაერთა,—რატომ „ვეზუვი" ამოწმენდა კი არ შეიძლება?

დონ-იაგო

დეპეშა

25 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის თაობაზედ, რომ ამ 1887 წლიდამ სემირეჩინსკის ოლქის მკვიდრნი, ჩამომავლობით რუსნი, დაექვემდებარონ სამხედრო ბეგარასაო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ, ოსმალეთის მთავრობის განკარგულებისამებრ, პალესტინაში მისულ უცხოელ ებრაელთ მხოლოდ 30 დღეს ექმნებათ ნება დაჰყონ იერუსალიმსაო.

„Journal de St.-Petersbourg"-ი ამბობს, რომ ბოლგარიის დიქტატორების უხამსმა ქცევამ და ავ-კაცურმა მოქმედებამ ახლა-კი ცხადად დაანახვა ყველას, რანიცა ყოფილან ეს ცრუ-დამცველნი წესიერებისა და თავისუფლებისა. ამათ მოქმედებას ის მოჰყვა, რომ, როგორც ჩანს „ჩრდილო-სააგენტოს" დეპეშიდგან, რომელიც სტამბოლიდგან არის მიღებული, ბოლგარიის საქმეებში გარია ოსმალეთის კომისარი. ეს გარევა, თუ სიცოცხლეს არ დაუბრუნებს შიშსა და ზარის მსხვერპლთა, იმას მაინც იზამს, რომ მოსპობს უხამს მოქმედებასა შემდეგისათვის. კომისარი გულ-გრილად ვერ დაუწყებს ცქერას ამ გვარს ავ-კაცობასა, თუ არ უნდა, რომ შერცხვეს სახელი ბოლგარიის უზენაესის უფლებისა და ვასალისის გამგეობის უფლების წარმტაცველნი და გამოაცხადებინოს დაუმოკიდებლობა, რომელსაც ასეთის სულ-მდაბლობით ხმარობენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს გარდამეტებული უხამსობა დაარწმუნებს ყველას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს იმ ერის ტანჯვა-წამებასა, რომელიც ამას წინად სასიცოცხლოდ იქმნა მოწოდებული რუსეთის თავგანწირულებითა და დღეს-კი ევროპის-მიერ უზომოდ შეწუხებისა და შებრალების გამო უმწედ, უნუგეშოდ არის დატოვებული და უწესოებაში ჩავარდნილი. მრავალ-მოთმინებასაც თავისი საზღვრები აქვს და ეს საზღვრები უკვე გადაცილებულ-იქმნა.

ბუქარესტი. რუსეთის ქვეშევრდომი კაპიტანი ბოლმანი არ იქმნა დახვრეტილი და ბუქარესტში მოვიდა. ბოლმანი აქ იმ დრომდე დარჩება, ვიდრე სრულიად არ მორჩება და არ განთავისუფლდება წყლულთაგან. რუსეთმა მოსთხოვა ბოლგარიის მთავრობას, პანიცა და ფილოვი გაანთავისუფლეთო, მაგრამ ვიდრე ეს თხოვნა დანიშნულებამდე მიაღწევდა, პანიცა უკვე დახვრიტეს.

რუმინიის მთავრობას არა სურს გამოდევნოს ბოლგარიიდგან გამოხვეწილნი; მან მხოლოდ წინადადება მისცა, ამოირჩიეთ ორში ერთი: ან აქ რუმინიის ჩრდილოეთის ქალაქებში დასახლდით და ან რუსეთს წადითო.

26 თებერვალი

პეტერბურგი. დღეს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო სატახტო ქალაქი ბაირაღებითა და დროშებით იყო მოფენილი. ისაკის ტაძარში დიდის ამბით და წარჩინებულ კარის-კაცთა, გენერლებისა და აფიცრების თანა-დასწრებით წირვა იქმნა გადახდილი. იმპერატორს ამ დღეს დარბაზობა არა ჰქონია. ფლიგელ-ადიუტანტს პოდპოლკოვნიკს დიდს თავადს სერგეი ალექსანდრეს მისათვის გენერალ-მაიორობა უბოძებიათ და „პრეობრაჟენსკის პოლკის" უფროსად დაუნიშნავთ.

სამხედრო უწყებას გამოუცხადა უქაზით, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ყურადღება მიაქცია დაუღალავად შრომასა და ერთგულს სამსახურს როტისა, ესკადრონისა და მეასეთა უფროსებისას და კეთილ-ინება და ბრძანა იმ 366 მანათის გარდა, რომელიც ეხლა ეძლევათ სანოვაგედ, 300 მანათი კიდევ მიემატოთ წელიწადშიო. ამასთან მისმა დიდებულებამ ჰბრძანა, რომ ეგევე ფული მიემატოთ კიდევ ბატალიონის უფროსებსა, უმცროს შტაბ-აფიცრებსა და იმ როტისა და მეასეთა უფროსებს, რომელთაც სანოვაგე ფული ეძლევათ არა უმეტეს 366 მანათისა. უქაზის ბოლოს მოხსენებულია: „ხელმწიფე იმპერატორი დარწმუნებულია, რომ ეს ახლად ნაბოძები წყალობა შეჰმატებს ქონებრივსა და ნივთიერ კეთილ დღეობას, განაკარგებს ყოფა-ცხოვრებას იმ აფიცრებისას, რომელთაც აფიცრის მაღალ ხარისხამდე მიუღწევიათ და ამით უფრო გაამხნევებს, შეაყვარებს თავის საქმეს, ერთგულს შეჰქმნის თავის მოვალეობისას რუსეთის ჯარის სასახელოდ და სასიქადულოდ".

თამბაქოს მონაპოლიის გამო, „Новое Время"ამბობს,რომ ასეთი განზრახვა აქვთ: ყველგან თითონ ხაზინამ უნდა დაჰმართოს დიდრონი ფაბრიკები და ეხლანდელი ფაბრიკები-კი დაჰხუროსო; თამბაქოს წვრილ-წვრილად ყიდვა მიენდობა იმათ, ვისაც აქციზის გამგე ამოირჩევსო.

ბერლინი. დიდის ხმის უმეტესობით დაამტკიცა რეიხსტაგმა სამხედრო კანონ-პროექტი შვიდის წლის ვადით. პროექტის დამტკიცების წინააღმდეგნი იყვნენ: თავისუფალ-მოაზრეთა დასის წევრნი, სოციალისტები და ელზასელები. პოლშელები რეიხსტაგის კრებას არ დასწრებიან.

პარიჟი. აქ მოვიდა ლონდონიდგან ამბავი, რომ ავსტრიისა, გერმანიისა და იტალიის შორის მოლაპარაკების დროს, მართალია, იმაზედაც ჩამოვარდა ბაასი,რომ თუნისი დავუთმოთ იტალიასაო; ხოლო ინგლისი წინააღმდეგი გახდა და ამიტომ თავიდაანებეს ამ აზრსაო. ინგლისმა სთქვა, რომ ჩემის აზრით, ხმელთა-შუა ზღვის თავისუფლებისათვის ის უფრო საშიშია, რომ ნავთ-სადგური ბიზერტი იტალიას მივცეთ, ვიდრე ის, რომ თუნისში ფრანგები იყვნენო.

27 თებერვალს

ირბიტი. „იარმუკა" კარგად თავდება; ფულს ყველა კარგად იძლევა.

ბერლინი. რუსეთის იმპერატორის დაბადების დღეს დიდის ამბით და ყოფით გადაიხადა რუსეთის საელჩომ. შუა-დღისას მოვიდნენ საელჩოში სასახლის უმაღლეს ხარისხის მოხელენი, დიპლომატები და სხვა მაღალ-წარჩინებულნი კაცნი. დღეს ამ დღეობის გამოვე სადილი არის სასახლეში. სადილზე მოწვეული არიან ხელმწიფის გვარეულობის წევრთა გარდა, რუსეთის საელჩო, ბევრი გენარლები და მაღალის ხარისხის აფიცრები იმ გვარდიის რაზმისა, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრეს სახელი ჰქვიან.

ვენა. გაზეთი „Fremdeblatt"-ი უარსა-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ ავსტრიის ათი აფიცერი წასულიყოს ბოლგარიაში ბოლგარიის ჯარების მოსამზადებლად და გასაწურთვნად.

იგივე გაზეთი, აგრეთვე ‹Freie Presse› ამბობენ, რომ სამხედრო კანონის დამტკიცება შვიდის წლის ვადით მშვიდობიანობის კარგი მომასწავებელი ნიშანიაო.

რუშჩუკი. რუსეთმა მოითხოვა და ფილოვს ბოლგარიიდგან წასვლის ნება მისცეს.

სამხედრო სასამართლომ გუშინ სასჯელი შეუმსუბუქა დაბალ ხარისხის ჯარის კაცებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში და გადუწყვიტა: ორს ხუთის წლით, დანარჩენს 5 მთელის სიცოცხლით ციხეში დამწყვდევა.

ვენა. ოფიციოზური ‹Politische Correspondent›-ი იუწყება: რუსეთის მთავრობას ცირკულიარად ქაღალდი გაუგზავნია დიდთა სახელმწიფოთათვის და ურჩევს,— იხმარეთ ყოველი ღონის-ძიება და თქვენ ზედ-გავლენა, რომ ბოლგარიაში მებრძოლე დასებმა ერთმანეთში სისხლის ღვრა არ მოახდინონო. ეტყობა, ეს ქაღალდი იმაზე ადრე გაგზავნილი, ვიდრე რუშჩუკში აფიცრებს სიკვდილით დასჯიდნენ, მაგრამ ვიდრე ქაღალდი დანიშნულისამებრ მიაღწევდა, სასჯელი კიდეც აღსრულდა.

ლონდონი. ინგლისის ბანკი 4 მაგიერ 3½ სარგებელს აძლევს.

ბუქარესტი. „ჰავასის სააგენტო" უარსა ჰყოფს გავრცელებულ ხმასა, ვითომ ქურქევოში მზად იდგა ხომალდი, რომლითაც რუსეთის აქაური ელჩი სიტროვო უნდა წასულიყო ბოლგარიაში, თუ ვინიცობაა, აჯანყების საქმე კარგად წავიდაო.

პარიჟი. პალატამ ბაჟი დაადო პურსა 5 ფრანკი.

როდესაც ბელფორში ახალ ასაფეთქებელ ნივთიერებით, მელინიტით, გავსებულ ყუმბარით ზარბაზანს სტენავდნენ, მელინიტმა იფეთქა, 8 ჯარის-კაცი მოჰკლა და 9 ძიმედ დასჭრა.

ლონდონი. ზღვის უწყების ბიუჯეტიდგან, რომელიც საზოგადოებათა პალატას წარუდგინეს, სჩანს, რომ ინგლისის ფლოტს ამ წელს მოემატება 10 ახალი ჯავშნიანი გემი, 7 ნაღმის მიმტანი გემი, 3 პატარა ნაღმის მზიდავი და 5 სხვა გვარი ხომალდი.

ჶერგიუსონმა სთქვა: ტყუილია ის ხმები, ვითომ სერახსის ახლოს რუსეთი ჯარებს თავს უყრისო.

სოფია. სარეგენტო მთავრობა მზად არის კიდევ ბევრი რამე დაუთმოს, ოღონდ ბოლგარიის საქმის გარდაწყვეტა გაადვილდესო.

პეტერბურგის ბირჟა, 24-ს თებერვალს ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაურიგელისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— »	— »	9 30
ტამოჟნის კუპონები . .	— »	— »	179½
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— »	244½
— მეორისა	— »	— »	238½
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— »	— »	— »
ქუთაისის ბანკისა . . .	— »	— »	— »
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— »	— »	— »

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

28 დღე შაბათი. ვასილი აღმსარებელ. მოწ. ნესტორ ეპისკ. კათოლ. რომანისა და რუფინისა. სომეხ. წმ. კირილე იერუსალიმელისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4.

მარტი 31 დღით არის

1 დღე კვირა. ღირს. ქალწ.-მოწ. ევდოკიასი. კათოლ. ეპისკ. ალბინისა და ანტონინისა. გარდაცვალება იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა, 1881 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 6—5. მთვარე 12 დღისაა.

2 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. თეოდორასი. კათოლ. იმპ. ელენასი, ამელიასი და სიმფორიანისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტახტად ასვლა მ. დ. იმპერატორის ალექსანდრე III-სი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 6—6.

3 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ევტროპ, ზენონ და ზოილისა. კათოლ. კენეგუნდისა და კორნელიასი. მუსულ. გარდაცვალება ხალიფის აბუბექარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 6—7.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

თეთრი პური რუსული 1 გრ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3 »
ჯვრის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . .	3½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
» 2 »	7 »
სუკი. . . .	14 »
ცხვრის ხორცი . . .	9 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხის.	8 »
» 2 »	7 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით-

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

გამგეობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აქამდის ითხოვეს მასწავლებლობის ადგილი ს. ხელთუბნის სკოლაში და ამის შემდეგაც ითხოვენ, უნდა 9 მარტამდე წარმოუდგინონ გამგეობას ოქმები მის შესახებ, თუ ვის რა სწავლა მიუღია; ხოლო 9 მარტს ამა წლისას გამოცხადდნენ ტფილისის სააზნაურო სკოლაში სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად.

(3—1)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—34)

Дов. ценз. Тиф. 27 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე